გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის წლის შემაჯამებელი შეხვედრა

15-17 დეკემბერი, ბორჯომი

შეხვედრის ოქმი

ძირითადი გადაწყვეტილებები/საჭირო მოქმედებები

#	გადაწყვეტილება / მოქმედება	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების თარიღი
1.	ჩამოყალიბდა 11 სამუშაო ჯგუფი, რომელიც 2020 წლის განმავლობაში იმუშავებს ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმის მე-12, მე-13 და მე-14 თავების ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე. სამუშაო ჯგუფების თემებად განისაზღვრა შემდეგი პრიორიტეტული საკითხები:	თითოეულ ჯგუფში თანამშრომლობის ინტერესი გამოხატა ერთმა ან რამდენიმე უწყებამ	მუდმივმოქმედი (საჭიროებაზე დამოკიდებული)
	(1) სექსუალურ შევიწროება და პასუხისგების სისტემის დანერგვა საჯარო სექტორში		
	(2) ბავშვობის ასაკში ქორწინება და სხვა მავნე პრაქტიკები		
	(3) მონაცემის შეგროვების უნიფიცირებული მიდგომები		
	(4) გენდერული თანასწორობის მეინსტრიმინგი		
	(5) ქალთა ეკონომიკური გაძლიერება		
	(6) რეგიონებთან მუშაობის კოორდინაცია		
	(7) გენდერული ბიუჯეტირება		

	(8) ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელება		
	(9) ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხები		
	(10) გენდერული თანასწორობა განათლების სფეროში		
	(11) გენდერული თანასწორობა კულტურის სფეროში		
2.	უწყებებთან შეთანხმებით დამტკიცდეს სამუშაო ჯგუფების შემადგენლობა	გენდერული თანასწროობის კომისია	7 იანვარი 2020
3.	მოეწყოს თითოეული სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელზეც საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ჩართულობით, დაიგეგმება ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულებისათვის აუცილებელი შემდგომი ნაბიჯები.	გენდერული თანასწროობის კომისია >> შეხვედრების კოორდინაცია; გენდერული თანასწროობის კომისიის წევრები >> წარმოადგინონ გადაწყვეტილების მიმღები პირები შეხვედრებზე;	31 იანვარი 2020

დისკუსია (ძირითადი საკითხები)

1. **გრევიოს ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები:**

შეხვედრა გაიხსნა ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველის, **ლელა აქიაშვილის** შესავალი სიტყვით, რომლითაც მან გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული, საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმების შესრულების მნიშვნელობასა და სამომავლო პრიორიტეტულ მიმართულებებზე ისაუბრა. მან სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა კომისიის საქმიანობაში აქტიური თანამშრომლობისთვის და ადამიანის უფლებათა საბჭოს განახლებული სტრუქტურის ფარგლებში, კოორდინაციის გაძლიერების მნიშვნელობაზე ისაუბრა. შესავალი სიტყვის ბოლოს, მან ყურადღება გაამახვილა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციით დადგენილი ვალდებულებების შესრულების პროცესში მაკოორდინირებელი ორგანოს როლზე, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ექსპერტთა ჯგუფისთვის (GREVIO) ანგარიშის წარდგენის პროცედურაზე და უწყებებს სთხოვა წარმოედგინათ მოსაზრებანი სამომავლო ანგარიშგებასთან დაკავშირებით. ამის შემდგომ, სიტყვა გადაეცათ სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს.

როზა ლოგარმა, GREVIO-ს ყოფილმა წევრმა და ვიცე-პრეზიდენტმა, ოჯახში ძალადობის ინტერვენციის ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა (ავსტრია) და ევროპული ქსელის (WAVE) დამფუძნებელმა გააკეთა მოხსენება თემაზე ევროპის საბჭოს სტამბოლის კონვენციისა და მისი მონიტორინგის მექანიზმები, მათ შორის GREVIO-ს პირველადი შეფასების პროცედურის და მონიტორინგის ფაზების მიმოხილვა/მაკოორდინირებელი ორგანოს როლი.

როზა ლოგარმა ევროპის საბჭოს წარმომადგენელთან, **თეა მაჩაიძესთან** ერთად ასევე ისაუბრა სტამბოლის კონვენციის მოთხოვნებზე ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ადმინისტრაციული წყაროებიდან მონაცემთა შეგროვების თაობაზე და მიმოიხილა GREVIO-ს კითხვარის ძირითადი ასპექტები.

პრეზენტაციები: *იხ. მიმაგრებული დოკუმენტები #1.1 და #1.2*

სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წარმომადგენელმა, **ირმა ალადაშვილმა** ყურადღება გაამახვილა ანგარიშის მომზადების პროცედურაში არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობის ხარისხთან დაკავშირებით, რაზეც, ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის წარმომადგენელმა, **თეა მაჩაიძემ** აღნიშნა, რომ არასამთავრო ორგანიზაციების ანგარიში იგზავნება დამოუკიდებლად, თუმცაღა ეს უკანასკნელი არ გამორიცხავს არასამთავრობო

ორგანიზაციების ჩართულობას, განსაკუთრებით ისეთი მიმართულებებით, სადაც, თავად არასამთავრობო ორგანიზაციები არიან სერვისის მიმწოდებლები.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა, **თამარ ვაშაკიძემ** აღნიშნა, რომ გაეროს ქალთა ორგანიზაცია მზადაა ეროვნული ექსპერტის რესურსით, ტექნიკური და შინაარსობრივი დახმარება გაუწიოს კომისიას, როგორც ანგარიშის წარდგენის პროცესის, ასევე, ანგარიშის უნიფიცირებული სახის შემუშავებისა და დახვეწის მიმართულებით. ამავე ორგანიზაციის წარმომადგენელმა, **მარიკა ჯობავამ** აღნიშნა, რომ ანგარიშმა უნდა მოიცვას იმ უწყებათა მიერ მოწოდებული ინფორმაციაც, რომლებიც არ არიან კომისიის წევრები, თუმცა GREVIO-ს ანგარიშის მიზნებისთვის, ღირებულ საქმიანობას ეწევიან.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელმა, **თამარ მორბედაძემ** ისაუბრა ადგილობრივი თვითმმართველობისა და მათგან მიღებული ინფორმაციის როლზე ანგარიშის შემუშავების პროცესში და შესაბამისად, საკონსულტაციო შეხვედრების გამართვა პრიორიტეტულად მიიჩნია.

დისკუსიის ფარგლებში მონაცემების შეგროვებასა და გამოწვევებთან დაკავშირებით მოხსენებები გააკეთეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა - **ქეთევან ტატუაშვილმა,** უზენაესი სასამართლოს წარმომადგენელმა - **ლია მჭედლიშვილმა,** და პრობაციის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა - **ნინო ტყეშელაშვილმა.**

2. **ირმა ალადაშვილის მოხსენება ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ:**

სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფოს ფონდის წარმომადგენელმა - **ირმა ალადაშვილმა** გააკეთა პრეზენტაცია ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერისთვის არსებული სერვისების შესახებ.

პრეზენტაცია: *იხ. მიმაგრებული დოკუმენტი #2*

3. **თავდაცვის სამინისტროს მოხსენება გაეროს რეზოლუცია "1325 ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოებასა“ და გენდერული თანასწორობის მეინსტრიმინგთან დაკავშირებით:**

ეკატერინე ურუშაძემ და **თამთა ჭრიკიშვილმა** სამინისტროში განხორციელებული ცვლილებები და სამომავლო გეგმები მიმოიხილეს.

4. **ლელა აქიაშვილის მოხსენება გენდერული თანასწორობის მიმართულები საერთაშორისო და ეროვნული ვალდებულებებსა და სამოქმედო გეგმებთან დაკავშირებით:**

ლელა აქიაშვილმა აღნიშნა, რომ ვინაიდან გენდერულ თანასწორობას და ქალთა მიმართ ძალადობას არ აქვს გეოგრაფიული დაფარვის კონკრეტული არეალი, იგი თანაბრად საზიანოა ქვეყნის ნებისმიერ ადგილას, ისევე, როგორც მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, შესაბამისად, მნიშვნელოვანია რომ დაცული იყოს როგორც შიდა საკანონმდებლო, ასევე საერთაშორისო რეგულაციით დადგენილი მოთხოვნები. მან დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა ის საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც საქართველოს გენდერული თანასწორობისა და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მიმართულებით აკისრებს ვალდებულებებს.

პრეზენტაცია: *იხ. მიმაგრებული დოკუმენტი #3*

5. თამარ ვაშაკიძის მოხსენება გენდერული მეინსტრიმინგის შესახებ:

თამარ ვაშაკიძემ მოხსენება გააკეთა გენდერული მეინსტრიმინგის შესახებ და ყურადღება გაამახვილა საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებსა და გეგმებზე. მისი თქმით, მისასალმებელია და საკმაოდ ღირებულია, რომ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და გენდერული თანასწორობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, გარდა ძირითადი სამოქმედო გეგმის თავისა, შემუშავებულია ორი ცალკე მდგომი სამოქმედო გეგმა. თუმცა საერთაშორისო მიდგომით, ცალკე მდგომი გეგმები არ არის თვითკმარი და საჭიროა ცალკეული ქმედებების განხორციელება.

პრეზენტაცია: *იხ. მიმაგრებული დოკუმენტი #4*

6. კოორდინაციის გაძლიერებასთან დაკავშირებული საკითხები:

ლელა აქიაშვილმა მიუთითა, რომ გარდა სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ვალდებულებისა, საჭიროა პრაქტიკაზე ორიენტირებული თანამშრომლობა და კოორდინაცია. აღნიშნულისთვის, კი მან უწყებებს გამოწვევების იდენტიფიცირება შესთავაზა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, **ქეთევან ტატუაშვილმა** განაცხადა, რომ სამოქმედო გეგმებში გაწერილი საქმიანობები შინაარსით გავს ერთმანეთს და ხშირად ერთსა და იმავე აქტივობებს მიემართებიან. მისი თქმით, სამოქმედო გეგმებში გაწერილი ზოგიერთი აქტივობა საკმაოდ ბუნდოვანია, რომელიც შეუსრულებელ აქტივობად რჩება.

საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენლის, **ქრისტინე მორგოშიას** თქმით, პრობლემას წარმოადგენს სამოქმედო გეგმებში კონკრეტული ინდიკატორების სიცხადის ნაკლებობა, ვინაიდან ისინი არ არიან მორგებული ფართო სურათს და შესაბამისად, არ არიან უნარიანი გაზომონ რეალური მდგომაროება.

აღსანიშნავია, რომ კომისიის მუშაობის ეფექტურობისა და კოორდინაციული საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, კომისიის ფარგლებში შეიქმნა თემატური სამუშაო ჯგუფები (სრული სია იხ. გვ. 1), რომლებიც, აქამდე მოქმედ თემატურ სამუშაო ჯგუფებთან ერთად, მიმდინარე წლიდან

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის წლის შემაჯამებელი შეხვედრის ოქმი - 15-17 დეკემბერი

აქტიურ ფორმატში თანამშრომლობით, განახორციელებენ საქმიანობას სხვადასხვა მიმართულებებით.

გასვლითი შეხვედრა ჩატარდა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის ორგანიზებით და ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის მხარდაჭერით.

დანართები:

1. მონაწილეთა სია
2. შეხვედრის დღის წესრიგი

მიმაგრებული დოკუმენტები:

1. **პრეზენტაციები:** ევროპის საბჭოს სტამბოლის კონვენციისა და მისი მონიტორინგის მექანიზმი, GREVIO-ს პირველადი შეფასების პროცედურა (Power Point Presentation) და მონაცემთა შეგროვება სტამბოლის კონვენციის სტანდარტების შესაბამისად .
2. **პრეზენტაცია:** ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისები (Power Point Presentation).
3. **პრეზენტაცია:** გენდერული თანასწორობის მიმართულები საერთაშორისო და ეროვნული ვალდებულებები და სამოქმედო გეგმები (Power Point Presentation).
4. **პრეზენტაცია:** გენდერული მეინსტრიმინგის საერთაშორისო ვალდებულებები (Power Point Presentation).

ოქმი მომზადებულია: გულიკო მაჭარაშვილი, შეხვედრის მდივანი

_____ ხელმოწერა

ოქმი დამტკიცებულია: ლელა აქიაშვილი, შეხვედრის თავმჯდომარე

_____ ხელმოწერა

დანართი #1: მონაწილეთა სია

	სახელი; გვარი	**უწყება/ორგანიზაცია**
1.	ლელა აქიაშვილი	ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი
2.	ანა ბუჩუკური	პრემიერ-მინისტრის აპარატის უფროსის მოადგილე
3.	ანუკი ბურდული	საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა სამდივნო
4.	გულიკო მაჭარაშვილი	საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა სამდივნო
5.	თამარ რობაქიძე	საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა სამდივნო
6.	მერი ქაჯაია	საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა სამდივნო
7.	რობო ნადირაძე	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
8.	მარიამ ჯაჯანიძე	საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო
9.	თეა მაჩაიძე	ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისი
10.	ნინო მაჩხანელი	ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისი
11.	თამარ ვაშაკიძე	გაეროს ქალთა ორგანიზაცია
12.	მარიკა ჯობავა	გაეროს ქალთა ორგანიზაცია
13.	გვანცა ხარატიშვილი	საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი
14.	ლია მჭედლიშვილი	საქართველოს უზენაესი სასამართლო
15.	ეკატერინე გოგიტიძე	საჯარო სამსახურის ბიურო
16.	ანა შონია	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
17.	ნინო ტყეშელაშვილი	პრობაციის ეროვნული სააგენტო
18.	ქეთევან ტატუაშვილი	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
19.	ქეთევან ასანიძე	საქართველოს გენერალური პროკურატურა
20.	ქრისტინე მორგოშია	საქართველოს გენერალური პროკურატურა
21.	ანა ლუკავა	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

22.	სოფიო ჩანთაძე	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
23.	თამარ რურუა	საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
24.	თამარ შარმანაშვილი	სოციალური მომსახურების სააგენტო
25.	თამარ მორბედაძე	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
26.	დიანა გვარამია	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
27.	ზაზა რუხაია	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
28.	სოფიო ლომიძე	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
29.	ნატო მაჭარაშვილი	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
30.	ნინო ბალავაძე	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
31.	თამთა ჭრიკიშვილი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
32.	ეკატერინე ურუშაძე	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
33.	ლალი დევიძე	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი
34.	ირმა ალადაშვილი	სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფოს ფონდი
35.	ანა კვანტალიანი	იურიდიული დახმარების სამსახური
36.	ნანო ვაჭარაძე	იურიდიული დახმარების სამსახური

დანართი #2: დღის წესრიგი

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის

წლიური სამუშაო შეხვედრა

გამოცდილების და პრაქტიკის გაზიარება მონაცემთა შეგროვებასა და ევროპის საბჭოს სტამბოლის კონვენციის მონიტორინგის მექანიზმზე

16-17 დეკემბერი, 2019

სასტუმრო ქრაუნ პლაზა ბორჯომი

დღის წესრიგი

ორშაბათი, 16 დეკემბერი

09:30– 10:30	***შეხვედრის გახსნა; შეხვედრის მიზნების და დღის წესრიგის წარდგენა, მონაწილეთა გაცნობა***
	უწყებათაშორისი კომისია
	ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში
10:30 –11:30	**ევროპის საბჭოს სტამბოლის კონვენციისა და მისი მონიტორინგის მექანიზმის გაცნობა, მათ შორის GREVIO-ს პირველადი შეფასების პროცედურის და მონიტორინგის ფაზების მიმოხილვა/მაკოორდინირებელი ორგანოს როლი**

როზა ლოგარი, *GREVIO-ს ყოფილი წევრი და ვიცე-პრეზიდენტი, ოჯახში ძალადობის ინტერვენციის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი (ავსტრია); ევროპული ქსელის (WAVE) დამფუძნებელი წევრი*

კითხვები/დისკუსია

11:30 –13:00 **სტამბოლის კონვენციის მოთხოვნები ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ადმინისტრაციული წყაროებიდან მონაცემთა შეგროვების თაობაზე და GREVIO-ს კითხვარი**

(ადმინისტრაციული და სამოქალაქო მართლმსაჯულების სისტემის მიერ შეგროვებული მონაცემები)

როზა ლოგარი, ევროპის საბჭოს ექსპერტი

13:00 – 14:00 **სადილი**

14:00 –15:00 ***უწყებების მოხსენებები (რა მონაცემები გროვდება და რა გამოწვევებია)***

შსს - **ქეთევან ტატუაშვილი**

უზენაესი სასამართლო - **ლია მჭედლიშვილი**

პრობაციის ეროვნული სააგენტო - **ნინო ტყეშელაშვილი**

15:00 –16:00 **სტამბოლის კონვენციის მოთხოვნები მონაცემთა შეგროვებასთან დაკავშირებით და GREVIO-ს კითხვარი (სესიის გაგრძელება)**

(ჯანდაცვის, სოციალური დაცვის და სხვა შესაბამისი უწყების მიერ მონაცემთა შეგროვება)

როზა ლოგარი, ევროპის საბჭოს ექსპერტი

დისკუსია

16:30 -16:45 **ყავის შესვენება**

16:45 –17:45 ***ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების მეფინგის დოკუმენტის პრეზენტაცია***

ნინო ჩიხლაძე, ევროპის საბჭოს ადგილობრივი ექსპერტი

ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი;

სოციალური მომსახურების სააგენტო/სხვა უწყებები

დისკუსია, კითხვა/პასუხი

17:45-18:00 პირველი დღის შეჯამება

სამშაბათი, 17 დეკემბერი, 2019

10:00 -11:00 **GREVIO-სთვის ანგარიშის წარდგენა; ანგარიშგების პროცესისთვის მზადება, უწყებებში ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირების და ვადების განსაზღვრა.**

მოდერატორი: პრემიერ - მინისტრის მრჩეველი გენდერული თანასწორობის და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში

11:00– 12:30 **სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ ინფორმაციის გაცვლა**

მოდერატორი: პრემიერ - მინისტრის მრჩეველი გენდერული თანასწორობის და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში

12:30-13:00 **გენდერული მეინსტრიმინგის მნიშვნელოვანი ასპექტები**

*გაეროს ქალთა ორგანიზაცია - **თამარ ვაშაკიძე, მარიკა ჯობავა***

13:00 – 14:00 **სადილი**

14:00 –14:40 **გაეროს რეზოლუციასთან "1325 ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“ დაკავშირებით, თავდაცვის სამინისტროში გასატარებელი ღონისძიებები და წარმატებული აქტივობები.**

*საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - **ეკატერინე ურუშაძე, თამთა ჭრიკიშვილი,***

14:40– 15:45 **სამომავლო გეგმების დასახვა და პრიორიტეტების გამოყოფა**

მოდერატორი: პრემიერ - მინისტრის მრჩეველი გენდერული თანასწორობის და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში

15:45 –16:10 **მეორე დღის შეჯამება**

16:10 -16:40 **ყავის შესვენება**

17:00 - *გამომგზავრება თბილისში*